სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

07 ივნისი, 2024 წ

ბრძანება N 01-02/77

2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის **„ერაზმუს+“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში** ვიძემის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში **საერთაშორისო მობილობაში** მონაწილე **ბსუ-ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ERASMUS+" გაცვლითი პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 04 ივნისის №621298 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ,,ერაზმუს+“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვიძემის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში (ლატვია), საერთაშორისო მობილობაში მონაწილე **ბსუ-ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:**

1.1. **კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ** - ელექტრონულად, ბმულზე - https://registration.bsu.ge/Registration-2.php და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eflow-ს) მეშვეობით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული) **მიღება - 2024 წლის 07 ივნისიდან - 12 ივნისამდე (15:00 საათამდე);**

1.2. საბუთების შემოწმება და შეფასება - **2024 წლის 12 ივნისი, 17:00 საათი** (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი);

1.3. ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში (ინგლისური ენა B2) – **2024 წლის 13 ივნისი, 11:00 საათი** - ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი, №4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12 (უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან);

1.4. გასაუბრება კომისიასთან - **2024 წლის 13 ივნისი;**

1.5. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მიმღები უნივერსიტეტისთვის - **არაუგვიანეს 2024 წლის 14 ივნისისა.**

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

ა) მერაბ ხალვაში - თავმჯდომარე, რექტორი;

ბ) ანზორ ბერიძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე;

გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) მარინა გიორგაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;

ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ერაზმუს+ კოორდინატორი ბსუ-ში;

ზ) თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

თ) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

ი) გაიოზ ფარცხალაძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;

კ) რუსუდან ხუხუნაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;

ლ) ირაკლი კორძაია - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი;

მ) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ნ) ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი.

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესითა“ და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს -ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**